სამხრეთ კავკასიამ მეტი უნდა გააკეთოს კორუფციასთან საბრძოლველად

უახლესი მოხსენებები აჩვენებს, რომ სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს მეტი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სჭირდებათ ანტიკორუფციული ძალისხმევისთვის

ბრიუსელი/ბერლინი, 4 მაისი, 2011

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პროგრესი ანტიკორუფციული ზომების გატარების კუთხით ბოლო ერთი წლის განმავლობაში მცირეა, ვკითხულობთ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებულ შეფასებით მოხსენებებში, სადაც ამ ქვეყნების მთავრობებს მოუწოდებენ მმართველობის ყველა სფეროში გაზარდონ გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

მოხსენებები, რომლებიც თითოეული ქვეყნის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნულ ბიუროებში დაიწერა, ყურადღებას ამახვილებს სასამართლო და საჯარო სექტორში მიმდინარე რეფორმებზე და აფასებს, თუ რამდენად ასრულებს თითოეული ქვეყანა საერთაშორისო ანტი-კორუფციულ კონვენციებს, და რამდენად ითვალისწინებს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მოხსენებების მეორე გამოცემის მიხედვით, საქართველოში ელექტრონული შესყიდვების სისტემის დანერგვა წინგადადგმულ ნაბიჯად სეიძლება მიიჩნეს, ხოლო რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს, ისინი წარმატებულად ვერ ახორციელებენ ანტიკორუფციულ რეფორმებს. თუმცა, 2011 წლის დასაწყისში აზერბაჯანში, სადაც საპროტესო აქციები გაიმართა, ახალ კანონმდებლობაზე დაიწყეს მუშაობა.

„ახალი მოხსენებები აჩვენებს, რომ არასაკმარისი კეთდება. რეგიონის ქვეყნებმა უნდა დააჩქარონ ანტი-კორუფციული პოლიტიკის და კარგი მმართველობის გაძლიერება. მათ უნდა გაითვალისწინონ ის, რომ მოქალაქეები აღარ იქნებიან პასიური მაყურებლები; ისინი უფრო და უფრო ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას არასწორი მართვის და კორუფციის გამო,“ ამბობს იანა მიტერმაიერი, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ევროკავშირთან ურთიერთობის ოფისის დირექტორი.

ევროპის სამეზობლოს პოლიტიკის ანტი-კორუფციული მონიტორინგის თითოეული მოხსენება აფასებს, თუ რამდენად ასრულებენ ქვეყნები მათ მიერ ევროკავშირის ევროპის სამეზობლოს პოლიტიკის (ENP) ფარგლებში ხელმოწერილ 2006 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის (როგორც ხმელეთით ისე ზღვით) საერთო ღირებულებების მიმართ ერთობლივი ვალდებულების გაძლიერებას, კარგი მმართველობის და კანონის უზენაესობის გარანტიის მომცემი მდგრადი პრაქტიკის ჩათვლით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მოხსენებები ქვეყნდება 10 მაისით დათარიღებული ევროპის კომისიის სამოქმედო გეგმის სამივე ქვეყნის ყოველწლიური მიმოხილვის და აგრეთვე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიმოხილვის სტატუსის შესახებ განცხადების გამოსვლამდე. ისინი გვთავაზობენ მყარ, ინდიკატორებზე დაფუძნებულ სამოქმედო ჩარჩოს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ანტი-კორუფციული პოლიტიკისა და პრაქტიკების მიმართულებით პროგრესის გასაზომად. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიდგომა, რომელიც უფრო დეტალური და კრიტიკულია, ვიდრე კომისიის მიმოხილვის მექანიზმი, ხაზს უსვამს მეტი გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულებისკენ სწრაფვის მნიშვნელობას.

მოხსენებები შემდეგ რეკომენდაციებს შეიცავს:

<u>**სომხეთი:**</u> მოხსენების თანახმად 2010 წლის განმავლობაში სომხეთში ცოტა რამ შეიცვალა, განსაკუთრებით სასამართლო რეფორმისა და საჯარო სამსახურის ადმინისტრირების კუთხით. ეს ორი სფერო დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის ნაკლებობით გამოირჩევა, საჯარო სამსახურის ადმინისტრირება კი პოლიტიზირებულია. გარკვეული პროგრესი არის კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინების კუთხით, კონკრეტულად კი, კორუფციული გარიგებების აღმოჩენის წესების ათვისება, საპარლამენტო იმუნიტეტის გაუქმება და საჯარო ადმინისტრაციის ფარგელბში ეთიკური წესების დარღვევების შესახებ საჩივრების განკარგვის გზები. თუმცა, მთავარ გამოწვევად გათვალისწინებული რეკომენდაციების განხორციელება რჩება. დადებით ძვრად შეიძლება მიიჩნეს 2011 წლის 1 იანვარს მიღებული კანონი შესყიდვების შესახებ.

<u>**აზერბაიჯანი:**</u> სასამართლო სექტორი ზარალდება სუსტი შესრულებით, გამჭვირვალობის ნაკლებობით და შეზღუდული დამოუკიდებლობით იმის გამო, რომ აღმასრულებელი შტო მკაცრად აკონტროლებს სასამართლო განკარგულებებს. საჯარო სამსახურში არის პროგრესი ახალგაზრდა პროფესიონალების საქმიანობაში ჩართვისა და ეთიკის და ერთიანობის ტრეინინგის გამოისობით, მაგრამ მართვის უნარჩვევების ნაკლებობის გამო საჯარო სექტორის სუსტ სექტორად რჩება. მთავრობამ შექმნა ახალი ფინანსური დაზვერვის დანაყოფი (კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის მოთხოვნა), ხოლო 2011-ში მან სისხლის სამართლის კოდექსში შემოიტანა ქრთამის საწინააღმდეგო კანონების სერია დაუმორჩილებლობის ჩასახშობად და მოქალაქეთა ნდობის დასაბრუნებლად.

<u>**საქართველო:**</u> სასამართლოსა და საჯარო სამსახურის არასაკმარისი დამოუკიდებლობა ის მთავარი ფაქტორია, რაც ასუსტებს საქართველოს კარგი მმართველობის პოტენციალს. პოლიტიზირებულობის მაღალი დონე განსაკუთრებით საჯარო სამსახურის სფეროში რჩება ძირითად ბარიერად, თუმცა ტექნიკური კუთხით პროგრესი, როგორიცაა ელექტრონული შესყიდვების სისტემაზე გადასვლა, დამაიმედებელია. მოხსენების მთავარი რეკომენდაციაა, საქართველომ კორუფციასთან ბრძოლაში პროგრესის გასაგრძელებლად გააუმჯობესოს გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა, როგორც კანონების მიღების, ისე მათი იმპლემენტაციის დროს.